საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-12/57

ქ. ბათუმი

10 ივნისი, 2019 წ.

ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სტაჟიორთა სერტიფიცირებისა და შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის N02 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრში სტაჟიორთა დანიშვნის შესახებ'' ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019 წლის 01 აპრილის N01-12/29 ბრძანების და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის, მადონა მიქელაძის 28/05/2019 წლის სამსახურებრივი ბარათის (შიდა N 652712) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრში 2019 წლის 1 აპრილიდან 31 მაისის ჩათვლით სტაჟირების წარმატებით გავლის შედეგად სტაჟიორებზე: ქეთევან არძენაძეზე, ჯილდა აბაშიძეზე, თამუნა სურმანიძეზე, გოგა დათუნაიშვილზე დამზადდეს და გაიცეს სერტიფიკატები თანდართული ფორმის შესაბამისად (დანართი №1).
2. სერტიფიკატების დამზადება და გაცემა უზრუნველყოს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა.
3. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სტაჟიორებთან (ქეთევან არძენაძე, ჯილდა აბაშიძე, თამუნა სურმანიძე) გაფორმდეს შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებები 2019 წლის 10 ივნისიდან 6 თვის ვადით, ნახევარ განაკვეთზე დასაქმების პირობით, ყოველთვიურად 400 ლარის ანაზღაურებით.
4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, კანცელარიას, ქეთევან არძენაძეს, ჯილდა აბაშიძეს, თამუნა სურმანიძეს, გოგა დათუნაიშვილს.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ.N30) მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **ჯემალ ანანიძე**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
BATUMI SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY

სერტიფიკატი

Certificate

ადასტურებს, რომ / Confirming that

---------- / ----------

2019 წლის 01 აპრილიდან 31 მაისის ჩათვლით წარმატებით გაიარა სტაჟირება
პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრში
From 01.04.2019 to 31.05.2019 successfully has done the legal practice course at the
Center for Educational Programs Management and Lifelong Learning

რექტორი: მერაბ ხალვაში
Rector: MERAB KHALVASHI

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი: ჯემალ ანანიძე
Chief of the Administration: JEMAL ANANIDZE